ნოდარ შენგელია

სოლაქ-ზადე საქართველოს შესახებ

გვიანფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის არაერთი საკითხის შესასწავლად ქართულთან ერთად გარკვეულ ადგილს იჭერს ოსმალური ნარატიული და დოკუმენტური წყაროები. განსაკუთრებით მდიდარია ოსმალური ისტორიოგრაფიული ლიტერატურა, სადაც მრავალფეროვანი ცნობებია მოცემული საქართველოსა და ამიერკავკასიის ქვეყნებზე. XVII საუკუნისათვის დიდად დაწინაურდა ოსმალური ისტორიოგრაფია. ამ პერიოდის თაობაზე სამართლიანად შენიშნავს აკად. ს. ჯიქია: „გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, არსებობს მთელი პლეადა სახელოვანი ისტორიკოსებისა, რომელთა შემოქმედება მსოფლიოს ხალხთა კულტურულ-ისტორიული საკითხების შესწავლისა და კვლევის საქმეში უეჭველად დიდი განძია. ამ თვალსაზრისით საკმარისია XVII საუკუნის თურქ მეისტორიეთა მხოლოდ ჩამოთვლა, რომ ცხადი გახდეს ამ ეპოქის თურქ ისტორიკოსთა შემოქმედების მოცულობის ზომა და მიხაარსობლივი მრავალფეროვნების სიდიადე"[1]. ერთ-ერთი ასეთთაგანი იყო მეჰმედ სოლაქ-ზადე ჰემდემი.

საქართველოს შესახებ მცირე. მაგრამ ყურადსაღები ფრაგმენტული ცნობები მოეპოვება სოლაქ-ზადეს (გარდაიცვალა 1657 წ.). თითქმის არაფერია ცნობილი მისი ბიოგრაფიიდან. დაიბადა იგი სტამბოლში, სახელმწიფო მოხელის ოჯახში. ჟან თავიდანვე გამოამჟღავნა მუსიკისადმი მიდრეკილება, რის გამოც მას მეტსახელად მისხალი ჩელები („მისხალი" სალამურის მსგავსი საკრავია) შეარქვეს.

მეჰმედ სოლაქ-ზადე ავტორია ოსმალეთის ისტორიის ფუნდამენტური ნაშრომისა, რომელიც მოიცავს პერიოდს ოსმალეთის იმპერიის დაარსებიდან ვიდრე სულთან იბრაჰიმ I-ის (1640—1648) ტახტზე ასელამდე[2].

სოლაქ-ზადე ფართოდ იყენებდა წინამორბედ და თავის თანამედროვე ისტორიკოსთა თხზულებებს. მიუხედავად ამისა, სოლაქ-ზადეს ნაშრომი მაინც დამოუკიდებელი ნაწარმოებია და მასში ბევრი ისეთი საინტერესო ცნობაა შემონახული, რაც დღეისათვის ცნობილ სხვა წყაროებში არ არის დაცული. სოლაქ-ზადეს თხზულების წყაროების მეტი წილი დღეისათვის უცნობია, რაც მისი ისტორიის ღირებულებას უფრო ზრდის.

---

1 ევლია ჩელების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაერთო ს. ჯიქიამ, თბ. 1964 წ. გვ. 10

2 სოლაქ-ზადეს და მისი თხზულების შესახებ იხ. Fr. Babinger, Die Geschichtsschreiber der Osmanen und ihre werke, Leipzig, 1927, გვ. 203—204.

საგულისხმო ცნობები აქვს დაცული სოლაქ-ზადეს საქართველოსა და ამიერკავკასიის ისტორიისათვის. საყურადღებოა მის მიერ მოთხრობილი ამბავი ოსმალთაგან ჭანეთის ციხის დამორჩილების თაობაზე. დღემდე ამ-ტად მწირი ცნობები ან თითქმის არაფერი მოგვეპოვება ჭანეთის ისტორიას შესახებ. ისტორიული საქართველოს ეს სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი ადრეულ მიიტაცა ოსმალეთის ხელისუფლებამ და იქ ოსმალური სოციალურ-პოლიტიკური სისტემა დაამკვიდრა. ჭანეთის ციხის დამორჩილების ამბის გადმოცემისას სოლაქ-ზადე იყენებს წინამორბედი ისტორიკოსის მეჰმედ ნეშრის (XV ს.) თხზულებაში დაცულ ცნობას[3]. მაგრამ ამავე დროს მისგან განსხვავებულ ფაქტებზეც ჩერდება. ოსმალო ფაშას მიერ ჭანეთის ვილაიეთის დამორჩილება, წყაროს ავტორის მიხედვით 1427—28 წელს მოხდა. სინამდვილეში ამ პერიოდისათვის ჭანეთის ტერიტორიები ოსმალებს უკვე დიდი ხნის დაპყრობილი ჰქონდათ. აქ აღწერილი ამბავი ეხება ჭანეთის ვილაიეთის განმგებლის ჰუსეინ-ბეგის მიერ დამოუკიდებლობის დაკარგვას, ოსმალეთის ცენტრალური ხელისუფლებისადმი დამორჩილებას. ამ დროისათვის ჭანეთი უკვე ვილაიეთადაა გადაქცეული და მისი განმგებელი ჰუსეინ-ბეგი გამაჰმადიანებული ოსმალო მოხელეა, რომელიც დამოუკიდებლობის შენარჩუნებისაკენ ისწრაფვის.

სოლაქ-ზადე აღწერს ირან-ოსმალეთის ომების ეპიზოდებს, სულთან სელიმ I-სა და ირანის შაჰის ისმაილ I-ს შორის წარმოებულ ბრძოლებს საქართველოსა და საერთოდ ამიერკავკასიაში. XVI საუკუნის შუა წლებისათვის გაძლიერებული ოსმალეთი თანდათანობით იპყრობს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს და ოსმალურ სოციალურ-პოლიტიკურ ინსტიტუტებს აარსებს, ქართულ ტერიტორიებზე „სანჯაყების" სისტემას ქმნის და ამით საბოლოოდ იერთებს მათ. ირან-ოსმალეთის დაუსრულებელი ომების ასპარეზად ამ პერიოდში სწორედ ამიერკავკასია იქცა. ამ ლაშქრობათა ერთი ეპიზოდი, კერძოდ, 1549 წლის ლაშქრობა აღწერილი აქვს სოლაქ-ზადეს. იგი ამ შემთხვევაშიაც თავის წინამორბედ და თანამედროვე ოსმალო ისტორიკოსთა ნაშრომებს ეყრდნობა, უფრო მოკლედ. მაგრამ საკმაოდ განსხვავებულად და ორიგინალურად გადმოგვცემს ოსმალთა მიერ 1549 წელს საქართველოს სამხრეთი ტერიტორიების დაპყრობის ამბებს, ვიდრე, ვთქვათ, იბრაჰიმ ფეჩევი[4].

სოლაქ-ზადეს მიერ საქართველოს შესახებ ქვემოთ მოტანილი ცნობები ამოკრეფილია მისი „ისტორიიდან"[5]. ამ ცნობების ოსმალურ, ქართულ და სხვა ენებზე არსებულ ცნობებთან შეჯერება და შესწავლა-გაანალიზება გარკვეულ შეკს შეიტანს ოსმალეთ-საქართველოს ისტორიული ურთიერთობის ცალკეული დეტალების დაზუსტების საქმეში. ამიტომ მიზანშეწონილად მივიჩნიეთ მისი ამ სახით გამოქვეყნება.

ჭანეთის ციხის დამორჩილება

იორგუჩ-ფაშას[1] მუდმივი საფიქრალი იყო ალფ-არსლანის შვილი ჰუსეინ-ბეგისათვის[2] როგორმე წაერთმია ჭანეთის ვილაიეთი[3] და ოსმალეთის სახელმწიფოსათვის შემოეერთებინა. 831 წლის პირველ თვეს[1] მან საქორ-

---

[3] Kitab-i Cihan-Nüma, Neşri Tarihi, II, Yayınlayanlar: Faik Reşit Unat, Mehmed A. Köymen, Ankara, 1957, გვ. 600—603.

[4] იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 27—28.

[5] مولاق زاده تاریخی، استانبول، ۱۲۹۷

წილო წვეულება გაიმართა და ჰუსეინ-ბეგი მიიპატიჟა. ჰუსეინ-ბეგი ამ პრაქ-ტიკების მიზანს მიუხვდა და ასე აუწყა: „ჩვენ ამ მხარეზე პრეტენზია არა გვაქვს, თუ ჩვენ ხელთ არსებული გაუერანებული [ადგილის] აღება გსურთ, თქვენი ხალხი მოვიდეს და დაიპყროს. ჩვენ წინააღმდეგი არა ვართ. უეჭველია ჩვენც დაგესვენებთ: რადგანაც ჰუსეინ-ბეგმა თავი აარიდა წვეულებას, ითრგუჩ-ფაშა შეწუხდა და ლაშქრის შეგროვებას შეუდგა, ჭანეთის მხარეს გალაშქრება გაბიზრახა. ჰუსეინ-ბეგმა როგორც კი გაიგო ვითარება, ისევე შეატყობინა: ჩემი შხარე სასულთნოს მტერი არ არის რომ ჩემს წინააღმდეგ ლაშქარი გამოიყვანო, თუ მურადის[4] ქვეყანაა, მე თავად ვოვალ და ჩაგბარდებით. ამ ცნობის გაგზავნისთანავე თვითონაც მოვიდა და ფაშას შეხვდა. ითრგუჩ-ფაშამ მისი ხალხი და ოჯახი ამასიაში[5] დატოვა, თვითონ ბორკილგაყრილი და დატყვევებული სტამბოლს ვააგზავნა. იგი სულთნის ბრძანებით ბურსის ციხეში[6] გამოკეტეს. ამგვარად, ითრგუჩ ფაშამ ხელთ იგდო ჭანეთის ვილაიეთი. ხსენებულ ჰუსეინ-ბეგს გარკვეული ხნის შემდეგ ხელსაყრელი შემთხვევა მიეცა და ციხიდან გაიქცა. ორი წელიწადი იხეტიალა და კვლავ კანონიერად სასულთნოს ადგილსამყოფელს შეაღწია თავი, შეეკედრა და მოსალოდნელზე უფრო მეტი მფარველობა აღმოუჩინეს: რუმელიაში[7] სანჯაყი მისცეს და თავისი ხალხი და ოჯახიც დაუბრუნეს.

სულთან სელიმ-ხანის[8] ბრძოლა საქართველოში და შაჰ-ისმაილის[9] ლაშქართან, ზოგიერთი ციხის აღება და შაჰზადე სულეიმანთან[10] ერთად თავდასხმა სანჯაუზეს[11].

ცნობილია და გულებში ხსოვნადაა დარჩენილი, რომ როდესაც მისი უდიდებულესობა შაჰზადე სულთან სელიმ-ხანი ტრაპიზონის ვილაიეთში მივიდა, დიდ დროს ანდომებდა იმ მხარეში საქართველოს მტრებთან ბრძოლასა და საღვთო ომს. ამის შემდეგ [ოსმალთა]მახვილის სისხლიანმა ვადამ რამდენიმეჯერ გაფანტა ყიზილბაშნი, ბაიბურთი[12] და აზერბაიჯანი ხელიდან გამოსტაცა მათ. მალალი ბატონის გადმოცემის მიხედვით, მიზეზი ის იყო, რომ რაკი შაჰ-ისმაილმა არდებილის ვილაიეთი[13] დაცილად ჩათვლა, აზერბაიჯანი ხელიდან გამოსტაცა სხვებს და თვითონ დაიპყრო. შემდეგ სამი ათასი ყიზილბაშით თავისი ძმა იბრაჰიმ მირზა და ზოგიერთი თავისი ამირი გაგზავნა და, რაკი შაჰზადე სელიმ-ხანის სატახტო საბრძანებლის — ტრაპიზონის ვილაიეთის განადგურება და ხელში ჩაგდება დაავალა, დიდად სახელოვანმა უფლისწულმა სიფხიზლე და სიმხნეც ვამოიჩინა და მათ შეწინავე მეომრებს მალალი ღვთის წყალობით თავს დაესხა. აზერბაიჯანის მახლობლად ხელსაყრელი შემთხვევა მიეცა და ყველანი ხმლით აკუწა ასე დაიპყრო აზერბაიჯანი. ამ ბრძოლაში შაჰ-ისმაილის უნდილი ძმა იბრაჰიმ მირზა შეიპყრო, ტრაპიზონის ციხეში გამოკეტა — გადმოგვცემენ, თუმცა ამის სიმართლე საეჭვოა. ამ ბედნიერ წელს[14], ფალის საზღვარზე სელიმ-ხანის შვილს შაჰზადე სულეიმან-ხანს მალალი ღმერთის უდიდებულესობამ ბოლოს სასჯაყი[15] უწყალობა. როდესაც ეს შაჰზადე სულთან ამმედმა გაიგო, არ დაეთანხმა და სთქვა, რომ რადგანაც ბოლოს ლიეა ამასიადან სტამბოლისაკენ ჰისასველელ გზაზეა, ამ შაჰზადე სულეიმანს ბედნიერების დედაქალაქში დაბინავების საშუალება არ უნდა მიეცეს და ეს ბიჭი ჩემს გზაზე არ უნდა იდგესო. ბედნიერების ტახტს როგორც კი მჯარეთა [ეს]

არზა, რადგანაც სულთან აჰმედის, მაღალი ლმერთის უდიდებულესობის ყატრ-
გორიელ სიტყვებს წინ ვერავინ აღუდგებოდა, ბოლოს ქუფას სანჯაყით[16] იქნა
შეცვლილი. სახელგანთქმული და მაღალკეთილშობილი შაჰზადე ქვეყნის მპყრო-
ბელი ხელმწიფის ფირმანით ტრაპიზონიდან ქუფასაკენ გაემგზავრა. „ალეფი"
მოსვლით ის ვილაიეთი მოაშენა და მისი მოსახლეობა გაახარა.

გვ. 324—325.

საქართველოს დაპყრობის აღწერა

ფადიშაჰის უმაღლესმა ძლევამოსილებამ ის ზამთარი ალეპოში გაატარა და
იმ გაზაფხულზე, რადგანაც ბელნიერ შემთხვევებს ჰქონდა ადგილი, 956 წლის
ჯუმადი ელ-ავალის მეათე დღეს[17] დიდი ლაშქრით ალეპოდან გამოვიდა და
დიარბექირისაკენ[18] გაემგზავრა. განზრახული და გადაწყვეტილი ჰქონდა დიარ-
ბექირიდან საქართველოზე გაელაშქრა. ამ ლაშქრობის მიზეზი და სა-
ბაბი ის იყო, რომ ქართველთა ტომი ზოგიერთ მიუდგომელ ციხეში იყო გა-
მაგრებული, მუდამ აჯანყებული იყო, ამბოხებაზე ხელს არ იღებდნენ, ხან წყე-
ული შაჰის მხარეზე [იყვნენ], ხანაც ფადიშაჰის უდიდებულესობას აფარებდნენ
თავს. იქამდე, რომ ერთხელ, როდესაც ბაღდადში საალაშქროდ მიემგზავრებოდა,
შაჰინშაჰმა ქვეყანა აიღო, ხელსაყრელი შემთხვევაა სოქვა და უამრავი ქარ-
თველი შეკრიბა. არზრუმის ბეგლარ-ბეგი მუსა-ფაშა[19] მოულოდნელად თავს
დაესხა, სარწმუნოებისათვის დაეცნენ [ბრძოლის ველზე]. უეცველად საჭირო
იყო მათი დალაშქვრა, რომ ისინი ჭკუაზე მოეყვანათ. როცა დიარბექირში კარ-
გად და ბედნიერად შეეიდნენ, მეორე ვეზირ აჰმედ ფაშას[20] ყარამანიის, არზრე-
მის, ზულკადირიეს და სივასის[21] ბეგლარბეგები სასულთნო ზაიმებითა და სი-
ფაჰთა სანჯაყ-ბეგებით, გარკვეული რაოდენობის ბრწყინვალე სამეფო კარის
იანიჩრები და აზაბთა აღაები[22] შეეერთდნენ და იქითკენ იქნენ გაგზავნილნი.
სახელოვანი სარდალიც გარკვეული მანძილის გავლით შაბანის თვის მეცხრა-
მეტე დღეს[23] საქართველოს ციხეთგან თორთუმის ციხემდე[24] მივიდა. რამდენიმე
დღის გარემოცვის შემდეგ დაიპყრო, ამის შემდეგ მის სიახლოვეს ნეჯაისა[25] და
ბერ-ხევის სახელწოდების ციხეების მოსახლეობა შიშმა შეიპყრო, მათაც პატი-
ეპის თხოვნით ციხის გასაღები მოიტანეს. შემდეგ აჭრე-ჰისარის[26] სახელწოდე-
ბის მტკიცე ციხე, რომელიც საქართველოს მხარის გასაღები, მნიშვნელოვანი
[ციხე] იყო, განგების დახმარებით, დაპყრობილ იქნა. სულ თხუთმეტი მრავალ-
რიცხოვანი ციხე იქნა აღებული ზოგი ძალით, ზოგი მორჩილებით. დაახლოებით
თითო-თითო სასანჯაყო ადგილებად დიდებულ ამირებს სათითაოდ ებო-
ყათ. ამის შემდეგ უთვალავი ნადავლით უკან დაბრუნდნენ. ბოლოს, ფა-
დიშაჰის უდიდებულესობის ღვთიდაცული ლაშქარი ჩოლოქის სახელწოდებით
ცნობილ რაიონში საქართველოში მყოფი ლაშქრის მოსელის ხელსაყრელ მო-
მენტს დაელოდა. შავალის თვის მეორე დღეს[27] სამეფო ლაშქარში მოვიდა.
როდესაც შეიკრიბა გამარჯვებულთა ლაშქარი, ზემოხსენებულ აჰმედ ფაშასადმი
და განსაკუთრებით ამირებისადმი ძალიან დიდი პატივისცემა იქნა გამომჟღავ-
ნებული. დაწინაურეს და ხალათების ბოძებით თავიანთ ტოლთა შორის გამორ-
ჩეული და სახელოვანი გახადეს. (დიდება ალაჰს!) ერთ თვეზე მეტი ხნის გან-
მავლობაში არც თუ იშვ მრავალრიცხოვანი ძალებით ასეთი ლაშქრობა და-
დებულია. ისლამის საზღვარზე თავისი ამირებისათვის გარკვეული რაოდე-
ნობის რეგულარული ჯარის მიცემის შემდეგ სიცოცხლეებმაც დაიჭირა. ყველას

თავისი შესაფერისი სარგო ხვდა წილად. რადგანაც დაბრუნების შეურაველნ ბი იყვნენ, ამიტომ გამარჯვებული ლაშქრის მოსეენებისა და სიმშვიდისათვის ხსენებული თვის მეთაბე დღეს[28] აღნიშნული სადგომიდან შეკვანიერი რუმელ ეხარეს[29] გაბაზავრება იქნა ნაბრძანები. ბირეჯიკის, აინთაბის, ადანასა და კონ ნიახე[30] გაელით ზილიჯეს თვის შუა (რიცხვებში)[31] დედაქალაქ კონსტანტი- ნოპოლში[32] მივიდნენ.

გვ. 512-- 514.

შენიშვნები

1. ი ო რ გ უ ზ-ფ ა შ ა — ითრგეჩ-ფაშა მეჩვენ სურეიას მიხედვით, წარმოშობით ითრ- გელეკედან იყო. სელიან ბერად II ის (1420—1451) გამზრდელი-ლალა, მურადის სახელ- თნო ტახტზე ასვლის შემდეგ ამასიისა და თოკათის ჯალი გახდა. შემდეგ უფრო დაწინა- ურება, 1445 წ. ჯარსასან ბრძოლაში მოკლეს. مجمل عثمانی یاخود تذکرة مشاهیر عثمانیه اثر محمد کبیر معارف اعضاسندن محمد ثریا دردنجی جلد ، ایستانبول ، 1338 ითრგეჩ-ფაშას საქმიანობისა და განსაკუთრებით მის, მიერ ჭანეთის ციხის დამორჩილების შესახებ საუკ- რადღებო ცნობები მოეპოვება XV ს-ის ოსმალო ისტორიკოსს მეჩვენ ნეშრის, იხ. Kitab- Cihan-Nüma, Nesri Tarihi, II cilt, 1957, Ankara, გვ. 593—603.

2. ჭ ა ნ ე თ ი ს ვ ი ლ ა ი ე თ ი — ისტორიული საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნა- წილში, შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე, ჭანეთის მიწების რაიონში არსებული ტერიტორია, ოსმალეთის იმპერიაში ოსმალური ადმინისტრაციული ერთეულის — ვილაიეთის სახელის მატარებელი პროვინცია.

3. 831 წ. პირველი თვე — 1427 წლის ოქტომბერი.

4. მ ი რ ა დ ი — ოსმალეთის სელთანი მურად II (1420—1451).

5. ა მ ა ს ი ა — ოსმალეთის იმპერიის ადმინისტრაციული ერთეულის — ამასიის სახელ- წოდების ვილაიეთის ცენტრი.

6. ბ ე რ ს ა — ოსმალეთის იმპერიის ადმინისტრაციული ერთეული — ბერსის სა- სელწოდების ვილაიეთის ცენტრი.

7. რ უ მ ე ლ ი ა - ოსმალეთის იმპერიის ევროპული ნაწილი.

8. ს ე ლ ი მ-ხ ა ნ ი — ოსმალეთის იმპერიის სელთანი სელიმ I იაკუბი (1512—1520).

9. შ ა ჰ-ი ს მ ა ი ლ ი — სეფიანთა ირანის შაჰი (1502—1524).

10. შ ა ჰ ზ ა დ ე ს ე ლ თ ა ნ ს უ ლ ე ი მ ა ნ ი —ხელთან სულეიმან კანონი (1520—1566) — ოსმალეთის იმპერიის სელთანი, რომლის დროსაც სახელმწიფომ თავისი ძლიერე- ბის მწვერვალს მიაღწია.

11. ქვემოთ აღწერილ ამბებს თარიღი არ უზის. თხზულების წინა თავში სოლაქ-ზადე აღწერს სტამბოლში მიმხდარ მიწისძვრას და უთითებს თარიღს — 906 წ. თხზულების მიხედვით, ლოგიკურად იგულისხმება, რომ აქ აღწერილი ამბებიც სწორედ 906 წლის შემ- დეგ მოხდა. ისტორიული სინამდვილის მოვლენათა მსვლელობაც ადასტურებს, რომ აქ ალ- წერილი ამბები მოხდა 906 წლის (1500—1501) შემდეგ.

12. ბ ა ა ბ ე რ თ ი — ოსმალეთის იმპერიაში არზრუმის ვილაიეთში სანჯაყის ცენტრი იყო, იგი არზრუმის ჩრდილო-დასავლეთით 100 კმ, ხოლო ტრაპიზონიდან სამხრეთ-აღმოსავ- ლეთით 90 კმ მდებარეობს, არზრუმსა და ტრაპიზონს შემაერთებელ გზაზეა. გვ. 1280. სტამ- ბული, I الاعلام سامی شمس ، قاموس ბაბერტის ძველ ცოდნეს, მოსახლეობას, მის წმინდა ადგილებსა და სხვ. აღწერს ევლია ჩელები. იხ. ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი", თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გეორგი ფეთურიძემ. ნაკ. I. ქართული თარგმანი, თბ. 1971 გვ. 319—321.

13. ა რ დ ე ბ ი ლ ი ს ვ ი ლ ა ი ე თ ი — პროვინცია ირანის აზერბაიჯანში.

14. ა ბ ბ ე დ ნ ი ერ წ ე ლ ს — იგულისხმება 1500—1501 წელი.

15. ბ ო ლ უ ს ს ა ნ ჯ ა ყ ი — თანამედროვე ადმინისტრაციული დაყოფით, ბოლუს ვილაიეთის ცენტრი ღღევანდელ თურქეთში.

16 ქუფას სანჯაღი — ერაყში, ბაღდადიდან აღმოსავლეთით 150 კმ. მდებარე ძველი ისტორიული ადგილი, ერაყში ოსმალთა პატრონობის დროს ოსმალური ადმინისტრაციული სისტემა იყო შემოღებული და ქუფა სასანჯაღო ერთეულად იქცა მიჩნეული. ქუფის შესახებ იხ. Ibrahim Alaettin Gowsa, Resimli Yeni Lugat ve Ansiklopedi (Ansiklopédik Sözlük) - cilt 3. გვ. 1518.

17 956 წ. ჯუმად ილ ევველის მეათე დღე — 1549 წ. 6 ივნისი

18 დიარბეკირი — დღევანდელი თურქეთის ერთ-ერთი ადმინისტრაციული ერთეულის — ვილაიეთის ცენტრი.

19 მუხაფაში — არზრუმის ბეგლარბეგის მესაფაშის შესახებ მოკლედ გადმოგვცემს შამსედდინ სამი თავის „სიჯილიში". მისი საქმიანობის შესახებ ცნობები მოეპოვება ოსმალურ ფენეკებსაც. იხ. იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო სერგო ჯიქიამ. 1964. თბ. გვ. 101.

20. მეორე ეზირი აქმედ ფაშა — ფექმედ სულეიმან თხზულების მიხედვით, აქმედ ფაშა ეროვნებით ალბანელია, იგი ცნობილი რუსთან-ფაშას ძმა. ალბრდა-განათლება მიიღო სელიმის კარზე, იქვე ეპყრა კაფუჯიბაშის თანამდებობა, შემდეგ იანიჩართა-აღა გახდა. 1529—30 წ. სამსახურიდან დითხოვეს, ოლტა ხნის შემდეგ რუმელიის ბეგლარბეგად გახდა. შეორეთ სელიმის ქალიშვილი ფატმა და წლების განმავლობაში ეკავა მეორე ვეზირის თანამდებობა, ხოლო 1552—53 წ. გახდა დიდვეზირი. 1554—55 წ. მოკლეს. سجل عثماني يا خود تذكرهٔ مشاهير عثمانيه أثر مجلس كبير معارف اعضاسندن احمد ثريا، I. گ. 198.

21 ყარამანია, არზრუმი, ზელანდირი, სივასი—ოსმალეთის იმპერიის ადმინისტრაციული ერთეულები — ამავე სახელწოდების ვილაიეთების ცენტრები.

22 აზაბთა აღაები — ოსმალურ სამხედრო ორგანიზაციაში აზაბები იყვნენ გარეეული სახეობა ჯარისკაცებისა, რომელთაც სხვადასხვა ნასათის დავალებები ეძლეოდათ. ყოველ ვილაიეთში აზაბთა ცალკეული რაზმები იმყოფებოდა, რომელიც ბეგლარბეგს ემორჩილებოდნენ. აზაბთა რაზმს სათაურში აღა იდგა. ვილაიეთის აზაბები შვიდ ნაწილად იყოფოდნენ, ყოველ ნაწილში თავისი რეგალი, ოდაბაში და მედროშე იყო. ეფრო მაღალი კატეგორია იყო მეთაურების ნაწილი. ომის დროს აზაბები თავიანთი აღას ძალაუფლებით ერთიანდებოდნენ და ბეგლარბეგის განკარგულებით ომში იღებდნენ მონაწილეობას. Mehmed Zeki Pakalın, Osmanlı Tarih Deymleri ve Terimleri Sözlüğü. I, II Fasikül. Istanbul, 1947. გვ. 128—131. გვ. 935 ش. سامی، قاموس ترکی، درسعادت، ۱۳۱۷

23 შაბანის თვის მეცხრამეტე დღე — 1549 წ. 12 სექტემბერი.

24 თორთუმის ციხე — ცნობილი ციხე საქართველოში, ეკლია ჩელები ერცლად გადმოგვცემს თორთუმის ციხის ამბებს, მისი დაპყრობის ისტორიას, აღწერს თორთუმის ციხეს. იხ. ეკლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი". თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გიორგი ფეთურიძემ. ნაკ. 1. ქართული თარგმანი. თბ. 1971. გვ. 321—330. იხ. აგრეთვე იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო სერგო ჯიქიამ. თბ. 1964. გვ. 102—103.

25 ნეჯაქის ციხე — ნეჯაქის ციხე აკად. ს. ჯიქიას გამოკვლევით, ნიხაბის ციხეა და ამ პერიოდში თორთუმის საყადის ცენტრია მდინარე თორთუმზე, იგი არზრუმიდან ჩრდილოეთმოსავლეთით 45 კმ. მანძილზე მდებარეობს. იხ. იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ.. გვ. 103.

26 ეხჩა ქალაქი — იგივე ახჩა ყალაა, ეკლია ჩელების აღწერით, იგი „თორთუმის სანჯაღში მდებარეობს. საქართველოს მიწაზე მდებარეობს და იგი ულამაზესს თუშენებია საქართველოს დასაპყრობად და ხელში ჩასაგდებად. მაგრამ დროთა მსვლელობით ციხე დანგრევის პირამდე

30 [illegible] — [illegible]
31 [illegible] — 1550 [illegible]
32 [illegible] [illegible]

ذکر تسخیر قلعهٔ جانیك

یورکج پاشانك دائما فکری بو ایدیکی جانیك ولایتنی الب ارسلان اوغلی حسین بکدن بر طریقله الوب ضمیمهٔ ممالك عثمانیه ایده سکز یوز اوتوز بر سنه‌سنك اوائلنده دوکون ایدوب مزبور حسین بکی دعوت ایلدی حسین بك بو دعوتدن مقصود بکر و الا اولدیغین انتقال ایدوب بویله خبر کوندردیکه بزی اول جانبه تکلیفدن غرض اکر الیمزده اولان خرابه‌یی المق ایسه ادملریکز کلوب ضبط ایلسون مانع دکلز البته بزه‌ده بر جای اسایش بولنمیه‌می دیجك یورکج پاشا حسین بکك کندویی دعوتندن اجتناب ایتدوکندن بیحضور اولوب سپاه جمعنه مباشرت و جانیك جانبنه عزیمنه نت ایلدی حسین بك احواله واقف اولیجق تکرار خبر کوندردیکه بنم طرف سلطننه مخالفتم یوقدر که او سمته عسکر چکیله اکر مراد مملکت ایسه بن کندم واروب تسلیم ایده‌یم دیوب بو خبرك اردنجه کندوسی دخی کلوب پاشایه بولشدی یورکج پاشا اهل و عیالنی اماسیه‌ده الیقویوب کندویی قید و بند ایله استانهٔ سعادته کوندردی فرمان سلطان ایله بروسه حصارنده حبس اولنوب ولایت جانیك بو طریقله اله کیرمشدر مزبور حسین بك بر مدتدن صکره فرصت دوشوروب حبس خانه‌دن فرار ایلدی ایکی سنه مقداری سیاحت ایدوب تکرار اختیار ینه درکاه سلطنت پناهه کلوب یوز سوردی و مامولندن زیاده رعایالر کوردی وروم ایلنده سنجاق ویریلوب اهل و عیالی کندویه تسلیم اولندی

۱۶۱—۱۶۲

محاربهٔ سلطان سلیم خان در کرجستان و باعسکر شاه اسماعیل و تسخیر بعض قلعها و توجیه شدن سنجاق بشهزادهٔ سلطان سلیمان

شهزاده سلطان سلیم خان حضرتلری طربزون ولایتنه واردقده اکثر اوقاتده همت عالیه‌لری اول دیارده کرجستان دشمنلری ایله مقاتله و جهاده صرف مقدور ایتدیکی مشهوردر و دللرده مذکوردر بوندن ماعدا شمشیر خون باشی کروه قزلباشی نیجه دفعه پریشان ایدوب الارندن بایبورد ایله ادربایجانی المشدی عالی الندی روایتی اوزره سببی بو ایدیکه شاه اسماعیل اردبیلی ولایتنی خالی صانمغله اذربایجانی غیری الندن الوب ضبط ایتمش ایدی بعده اوچ بیك مقداری قزلباش ایله قرندای ابراهیم میرزایی و بعض امراسنی کوندروب شهزاده سلیم خانك تحت حکومتنده کی طربزون ولایتنی غارت و خسارت ایتدیرمك ایتدکده مع‌هذا شهزادهٔ نامدار کمال تیقظ و انتباه اوزره بیدار ایدی و بونلردن مقدم اوزرلرینه امداد رب العالمین ایله اینمار ایدوب اذربایجان قرنده فرصت بولوب جمله‌سنی قلیجدن کچیروب اذربایجانی بوطریقله تسخیر ایلدی و بوجنکده شاه اسماعیل ناخلفك قرنداشی ابراهیم میرزا اله کیروب طربزون قلعه‌سنده حبس اولندی دیو روایت ایتمشلر لکن صحتنده شبهه واردر و بو سال فرخنده فال حدودنده سلیم خان اوغلی شهزاده سلیمان خانه خداوندکار حضرتلری بولی سنجاغنی عنایت بیوردیلر شهزاده سلطان احمد اکله

اولدقده راضی اولمیوب لوای بولی و اماسیه‌دن استانبوله وصولك یولی اولدیغی جهتدن اول شهزادهٔ سلیمان مکانك مقر سعادتی اولدیغنه رضا ویرمیوب بو اوغلان‌بنم بولوم اوزرینده نیلر دیو سریر سعادته عرضه ایدنجه چون سلطان احمدك خداوندکار حضرتلری قتنده سوزلری ایکی اولمق محال ایدی عاقبت کفه سنجاغنه تبدیل اولندی شهزادهٔ عالی شان و عالیمقام خی فرمان شهریار جهان اوزره طربزوندن کفه جانبنه روان اولوب قدوم فرخنده رسوملری ایله اول ولایتی معمور واهالیسنی مسرور ایلدی.

۳۲۴ — ۳۲۵ هـ

در بیان غزای کرجستان

پادشاه سپهر اقتدار اول قیشی حلبده کچیروب اول بهار نزهت آثار ظاهر اولدیغنده ظفوز یوز اللی التی جمادی الاولیسنك اوننجی کونی حلبدن عظیم الای ایله چیقوب دیاربکره عزیمت و دیاربکردن دیار کرجستان اوزرینه غزایه تصمیم و نیت قیلمشلر ایدی. بوسفره باعث و بادی بو که طائفهٔ باغیهٔ کرجیان بعض صارب قلعه‌لرینه تحصن قیلوب دائما عصیان و طغیاندن درغ اولمیوب کاه شاه کمراه طرفنه کاه پادشاه عالمپناه طرفنه التجادن خالی دکلر ایدی حتی بر دفعه شهنشاه ممالك ستان بغداد سفرینه روانه اولدقده وقت فرصتدر دیو کرجیلر عظیم جمعیت ایلیوب ارضروم بکلر بکیسی موسی پاشایی علی الغفله ناصوب شهید دوشرمشلر ایدی لاجرم اقتضا ایلدیکه اوزرلرینه سفر اولنوب حقلرندن کلنه. سعادت و اقبال ایله دیاربکره داخل اولدقلرنده وزیر ثانی احمد پاشایه قرمان و ارض‌روم و ذوالقدریه و سیواس بکلر بکیلری و تحت یدنده‌کی زعما و سپاه سنجاق بکلری ایله بر مقدار در کاه معلا یکیچریلری و عزبان اغالری قوشیلوب اول طرفلره ارسال اولندی سردار نامدار دخی قطع منازل ایله ماه شعبانك اون طقوزنجی کونده کرجستان قلعه‌لرندن (تورتوم) قلعه‌سی اوزرینه واروب بر قاچکون محاصره دنصکره قبضهٔ تسخیره کتوردی بوندن ماعدا قربنده (نجاه) و (مر خوی) نام قلعه‌لرك اهالیسی خوفه دوشوب انلردخی استیمان ایله مفتاحلرن کتوردیلر مده (اقچه حصار) نام قلعهٔ استوار که دیار کرجستانك کلیدی اعتبار اولنور ایدی اوندخی عون کردکار ایله فتح اولنوب و الحاصل اون بش پاره متعدد قلعه کیمی جبراً النوب و کیمی اطاعت و انقیاد ایتمکله بیرر سنجاقلق یر تخمینی اوزره امراء کرامدن برینه ویرلدی بعدذلك نصرت و اظفره و غنیمت متکاثره ایله عودت اولنوب حضرت پادشاه انجم سپاه محروسهٔ آمد اوکنده جولك نام محلده کرجستانده کی لشکرك قدومنه مترقبلر ایدی ماه شوالك ایکنجی کونی اردوی همایونه کلوب عسکر ظفر مقرونه قاوشدقلرنده مومی الیه احمد پاشایه و بیله سنجه اولان امرایه التفات بی غایات اولنوب ترقیات و خلعتلر ایله بین الاقران ممتاز و سرافراز قلندیلر (لله الحمد) بر ایدن زیاده‌جه مدت قلیله ایچنده بونك کبی فتوحات جلیله واقع اولوب سرحد اسلام امورینه بومقدار نظام و انتظام و یرلدکدنصکره هوالرده دخی برودت غالب و هرکسه و طن ارزوسی دوشوب عودته طالب و راغب اولمغله عاقبت استراحت و حضور عسکر منصور ایچون ماه مزبورك اوچنجی کونی منزل مرقومدن روم بهجت رسوم طرفنه توجه

تمرویلوب بیره‌جك و عینتاب و اطنه و قونیه اوزرندن ماه ذی‌الحجه نك غره‌سنده دارالملك قسطنطینیه‌یه شرف نزوللری واقع اولدی.

٨٣٠ ١٤٥—١٢٥

Н. Н ШЕНГЕЛИЯ

СОЛАК-ЗАДЕ О ГРУЗИИ

Резюме

Сочинение османского историка XVII века Солак-заде Хемдеми (ум. в 1657) является немаловажным источником как по истории Османской империи, так и сопредельных с ней стран. В частности, как источник он важен и по истории стран Закавказья. В нем содержатся сведения по истории Грузии XV—XVII вв, а также имеется материал для изучения вопросов истории взаимоотношений Грузии с Османской империей. Солак-заде при повествовании о Грузии и о других странах пользуется сочинениями предыдущих историков.

В статье опубликованы отрывки турецкого текста из сочинения Солак-заде (صولاق زاده تاریخی، استانبول، ١٣٩٧) с грузинским переводом и комментариями.